ხატვის კონკურსის დასახელება: „ჩემი ფიროსმანი“

🎨 ხატვის კონკურსის საორგანიზაციო გეგმა

შესავალი : 2026 წლის აპრილ-მაისის (**12.04-8.05**) თვეში დაბა ჩოხატაურის ნიკო მარის სახელობის N1 საჯარო სკოლაში მე-4 და მე-5 კლასებში დაანონსდა ნახატების კონკურსი „ჩემი ფიროსმანი“, რომელიც საშუალებას აძლევს, საგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს წარმოაჩინონ და საზოგადოებას გააცნონ თავიანთი შესაძლებლობები ხელოვნების მიმართულებით. მოსწავლეებთან განსახორციელებელი აქტივობები განხორციელდა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით.

1. ზოგადი დებულება და მიზნები

• **მიზანი**: მოსწავლეებში ქართული კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესის გაღვივება, კლასიკური მხატვრობის ნიმუშების სიღრმისეული შესწავლა და აკადემიური/ტექნიკური უნარების განვითარება.სამიზნე ჯგუფი: IV-Vკლასის მოსწავლეები

2. კონკურსის ეტაპები და ვადები

• I ეტაპი – მოსამზადებელი პერიოდი: კონკურსის გამოცხადება, თემისა და პირობების გაცნობა მოსწავლეებისთვის (ხანგრძლივობა: 1 კვირა).

საქმიანობა (1) - ამ გაკვეთილზე ვისაუბრეთ ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების შესახებ, ერთად წავიკითხეთ საინტერესო ფაქტები წიგნში “დიდი ხელოვანები” და კონკურსის ფარგლებში მოსწავლეებს შევთავაზე “ნიკალას” ორ ნახატზე მუშაობა. ესენია **“მეთევზე”** და **“ გოგონა საჰაერო ბუშტით”** . მათ გაიხსენეს “ნიკალას” ცხოვრების შესახებ შექმნილი ფილმი, ვისაც ნანახი არ ჰქონდა, დაინტერესდა ფილმით და უყურა სახლში. მოსწავლეებმა ისაუბრეს მის შემოქმედებაზე და შეარჩიეს სასურველი მასალა, რომელშიც იმუშავებდნენ მომავალ გაკვეთილებზე. მოსწავლეები ინფორმირებული გავხადე სამუშაო დროის ხანგრძლივობის შესახებ. დაიწყო პრაქტიკული სამუშაო.

• II ეტაპი – შემოქმედებითი პროცესი: მოსწავლეების მიერ ნამუშევრებზე მუშაობა (ხანგრძლივობა: 2-3 კვირა).

საქმიანობა - წინასწარ ვისაუბრეთ, რომ მხატვარი ჩანაფიქრისას განსაზღვრავს, თუ როგორ ააგოს სურათი, როგორ გაანაწილოს ფიგურები სიბრტყეზე, როგორ გამოყოს მთავარი გამოსახულება, როგორ დაუკავშიროს ჩაფიქრებული სიუჟეტი თემას და მოსწავლეებიც იწყებენ პრაქტიკულ სამუშაოს. განვუმარტავ ასევე, რომ სურათის შემადგენელ ელემენტთა(გამოსახულებათა) სიბრტყეზე(ფურცელზე) განაწილებას კომპოზიცია ეწოდება და ვახსნებ სიმეტრიისა და ასიმეტრიის ცნებას. მოსწავლეები მეორე

კვირაში ხატავენ **“მეთევზეს”**, ხოლო მესამე კვირა ეთმობა ნახატს **“გოგონა საჰაერო ბუშტით”;**

- **III ეტაპი –** ნამუშევრების მიღება და გამოფენა: ნახატების შეგროვება, საგამოფენო სივრცის მოწყობა (ხანგრძლივობა: 2-3 დღე);

- **IV ეტაპი –** შეფასება და დაჯილდოება: ჟიურის მიერ გამოვლენილი გამარჯვებულების დაჯილდოვება;

ჟიურის შემადგენლობა:

1) **კათედრის თავმჯდომარე -** ნანა ჩხიკვაძე
2) **ხელოვნების მასწავლებელი** - თამარ ბერძენიშვილი
3) **სპორტის მასწავლებელი** - ნესტანი ასამბაძე

3. საკონკურსო დავალება და პირობები

• თემატიკა: ნიკო ფიროსმანის ცნობილი ტილოების რეპროდუქცია (ასლის შექმნა).

• ტექნიკა და მასალა: თავისუფალი (გუაში, აკრილი, აკვარელი, ზეთი ან ფანქარი).ფორმატი: (მაგ: A3 ფორმატის ფურცელი ან ტილო).სავალდებულო პირობა: ნახატს უკანა მხარეს უნდა ეწეროს ავტორის სახელი, გვარი, ასაკი/კლასი და ორიგინალი ნახატის დასახელება.

4. შეფასების კრიტერიუმები (ჟიურისთვის)

ნამუშევრები ფასდება 10-ბალიანი სისტემით შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

• ტექნიკური სიზუსტე (მაქს. 10 ბალი): პროპორციების, კომპოზიციისა და დეტალების სიზუსტე ორიგინალთან მიმართებაში.კოლორიტი და ფერთა პალიტრა (მაქს. 10 ბალი): ორიგინალის ავთენტური ფერებისა და განწყობის გადმოცემა.

• შესრულების ხარისხი (მაქს. 10 ბალი): მასალის ფლობა და ნამუშევრის ვიზუალური სისუფთავე/აკურატულობა.

- **შეფასება** - პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას ჩანაფიქრის შესაბამისი კომპოზიციის აგების ხერხის და სიმეტრიის ცნების გამოყენების უნარი.

5. დაჯილდოება და ნომინაციები

კონკურსის ბოლოს გამოვლინდება მთავარი გამარჯვებული და მოსწავლეებისათვის გაიცემა სპეციალური ნომინაციები, ასევე სერტიფიკატები კონკურსში წარმატებული მონაწილეობისათვის (II ეტაპზე).

რეფლექსია

მიმდინარე სასწავლო წლის აპრილ-მაისის თვეში სკოლაში ჩავატარე ნახატების კონკურსი „ჩემი ფიროსმანი “, რომლის მიზანი იყო, მეტი ჯანსაღი, კულტურული და თვითრეალიზებული მომვალი თაობის აღზრდა. ასევე, მოსწავლეებში ქართული კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესის გაღვივება, კლასიკური მხატვრობის ნიმუშების სიღრმისეული შესწავლა და აკადემიური/ტექნიკური უნარების განვითარება. სამიზნე ჯგუფი: IV-Vკლასის მოსწავლეები

დასახული მიზნები შესრულდა. აქტივობები წარიმართა გეგმის შესაბამისად. შესრულდა ყველა აქტივობა.

მოსწავლეებმა წარმატებულად იმუშავეს სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების მიზანმიმართულად გამოყენებისას. კომპოზიციურად გაანაწილეს (თემა, სიუჟეტი, პერსონაჟი, მხატვრული ხერხი) და შექმნეს რეპროდუქციები ნიკო ფიროსმანის შემოქმედებიდან შერჩეული მხატვრული ნიმუშების (“მეთევზე” და “გოგონა საჰაერო ბუშტით”) მიხედვით.

შედეგად გამოვლინდა თითოეული კლასიდან თითო გამარჯვებული მოსწავლე:

- 🏆 **სიგელი** (კონკურსის გამარჯვებული - I ადგილი): გადაეცემა საუკეთესო რეპროდუქციის ავტორს, ასევე ფასიანი საჩუქრები (მასწავლებლის პირადი სურვილითა და ხარჯებით შეძენილი მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად);

ესენია შემდეგი მოსწავლები:

1. მათე ქორიძე (IV^{ა} კლასი)

2. ბარბარე ყაჭეიშვილი (IV^{ბ} კლასი)

3. ნუცა ბენდელიანი (V^{ა} კლასი)

4. ნინო ჯანანაშვილი (V^{ბ} კლასი)

📜 **ნომინაცია „ფიროსმანის სამყაროს გამცოცხლებელი“** - ორიგინალთან უმაღლესი მიმსგავსებისთვის, კომპოზიციური და დეტალური სიზუსტისთვის;

ესენია შემდეგი მოსწავლეები:

1. კატო ბერაძე (V^{ა} კლასი)
2. ანანო ჭუმბურიძე (V^{ბ} კლასი)

✨ **სერტიფიკატები კონკურსში წარმატებული მონაწილეობისათვის** (II ეტაპზე გადასულები);

ესენია შემდეგი მოსწავლეები:

1. ნია მეგრელიშვილი (IV^{ა} კლასი)
2. სოფია უნგიაძე (IV^{ა} კლასი)
3. ილია ოსეფაიშვილი (IV^{ბ} კლასი)
4. ანი გობრინიძე (IV^{ბ} კლასი)
5. ბარბარე ჯიქია (V^{ა} კლასი)
6. მაკრინე პაიჭაძე (V^{ა} კლასი)
7. ნიტა მაღულარია (V^{ბ} კლასი)
8. ნიკოლოზ მამინაშვილი (V^{ბ} კლასი)

გამარჯვებულმა მოსწავლეებმა დაძლიეს ყველა გეგმით გათვალისწინებული ყველა მიზანი.

მუშაობის პროცესში სამუშაო გეგმის მოდიფიცირება არ მომხდარა.

გაუმჯობესებას საჭიროებს მხატვრული ხერხების მრავალფეროვნების გამოყენება. (მაგ. გრადაცია, ტონები…)

მომავალში, მსგავსი საქმიანობის განხორციელების დროს, მეტ დამოუკიდებლობას მივცემ მოსწავლეებს საკუთარი იდეის განხორციელებისათვის ასევე, ვფიქრობ ტრადიციული ხასიათი მივცე აღნიშნულ კონკურსს, მოსწავლეთა მეტი ჩართულობის, საგნის სიყვარულისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით.

კონკურსის მსვლელობისას არსებული ფოტომასალა და ინფორმაცია განთავსდა სკოლის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე და ჩემს ბლოგზე

მისამართები: https://kunkulika.blogspot.com/p/blog-page.html

https://www.facebook.com/share/p/17oV6ETAcG/